

„დამტკიცებულია”

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საზოგადო სამსახური  
დადგენილება № 82(18/19)

07.08.2019წ.

ცვლილებები განხორციელებულია აკადემიური საშპოს სხდომაზე

დადგენილება № 25(21/22)

7 ოქტომბერ 2022 წ.

როლანდ კომალიანი



სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ელექტროობა

საკონტაქტო ინფორმაცია :

ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ლალი ზივზივაძე

ტელ: 577-13-15-89

E-mail: [lali.zivzivadze@atsu.edu.ge](mailto:lali.zivzivadze@atsu.edu.ge)

ქუთაისი  
2022

- ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ელექტრონბა / Electricity
- ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 07313-პ

### 3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონბაში / Basic Vocational Qualification in Electricity; (კვალიფიკის კოდი 0713)

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ელექტროტექნიკა და ენერგია - კოდი 0713. აღმწერი - „შეისწავლის სამრეწველო და კომერციულ საწარმოებში, ასევე საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრო გაყვანილობისა და ელექტრომოწყობილობების მონტაჟს, ექსპლუატაციას, შეკეთებასა და ხარვეზების დიაგნოსტიკას. მოიცავს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგაყვანილობის სადისტრიბუციო ქსელების მონტაჟსა და ექსპლუატაციას. ენერგია შეისწავლის ენერგიის გენერირებას“.

### 4. მიზანი

პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტრონბაში. რომელთაც ჩამოყალიბებული ექნებათელექტრული სისტემების უსაფრთხო ექსპლუატაციის და მართვის პროფესიული უნარ-ჩვევები.

### 5. დაშვების წინაპირობა საბაზო განათლება

### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ელექტრონბის საბაზო პროფესიული კვალიფიკის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: ელექტრიკოსად; ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟედ; შენობის ელექტრიკოსად; მომმარაგებელ-ელექტრიკოსად; ელექტრო-მექანიკოსად; ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟედ; განათების სისტემების მემონტაჟედ; ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟედ; დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟედ; ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟედ; ასაფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟედ; და მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟედ.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 35.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7411; 7412; 7413

### 7. სტრუქტურა და მოდულები

„ელექტრონბა“ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრონბა“აერთიანებს ზოგად 4 მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით, საერთო პროფესიულ 4მოდულს ჯამური 14 კრედიტის ოდენობით და პროფესიულ 6 მოდულს ჯამური 28 კრედიტის ოდენობით.

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - **52** კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - **9** სასწავლო თვე
- პროგრამის მოცულობა არაქათულენოვანი სტუდენტებისათვის - **67** კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქაუთლენოვანი სტუდენტებისათვის - **11** სასწავლო თვე

#### ზოგადი მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
<b>1</b>	ინფორმაციული წიგნიერება 1	<b>3</b>
<b>2</b>	ინგლისური ენა	<b>4</b>
<b>3</b>	მეწარმეობა 1	<b>2</b>
<b>4</b>	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	<b>1</b>
	<b>ჯამი</b>	<b>10</b>

#### საერთო პროფესიული მოდულები

№	მოდულის დასახელება	კრედიტი
<b>5</b>	გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	<b>2</b>
<b>6</b>	საინჟინრო ხაზვა	<b>4</b>
<b>7</b>	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	<b>4</b>
<b>8</b>	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	<b>4</b>
	<b>ჯამი</b>	<b>14</b>

#### პროფესიული მოდულები

№	კრედიტი
<b>9</b>	<b>კანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში</b>
<b>10</b>	<b>ელექტრული ტექნოლოგია</b>
<b>11</b>	<b>ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება</b>
<b>12</b>	<b>ელექტრული მონტაჟი</b>
<b>13</b>	<b>მათემატიკა ელექტროკოსებისთვის</b>
<b>14</b>	<b>საინჟინრო პროექტი</b>
	<b>ჯამი</b>
	<b>სულ</b>

#### 8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
- გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტროობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
- დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
- გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
- შექმნას და წარადგინოს პროექტი.

## **9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩარჩო დოკუმენტის „ელექტროობა“ საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“

## **10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### **მართლშეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., უსტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და მახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;

- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ერგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

## **11.პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივაა. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ელექტროობა“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 52 კრედიტი.

## **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია მე - 11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი 1. - სასწავლო გეგმა.

დანართი 2. - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი.

დანართი 3. - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 4. - პროგრამის შემადგენელი მოდულები, მათ შორის ქართული ენის მოდული.